ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 289

“ 19 ” ივნისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა №15/6-ში არსებული 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.063.061) პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ ლონდარიძისთვის (პ/ნ. 01027000350) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, აბანოს ქუჩა №15/6-ში არსებული 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.063.061) პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ ლონდარიძისთვის (პ/ნ. 01027000350) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 ივნისის №25.956.1072 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა №15/6-ში არსებული 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.063.061), პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ ლონდარიძისთვის (პ/ნ. 01027000350) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კონდენციონერის აგრეგატის განთავსების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე